ᲜᲘᲜᲝ ᲮᲣᲚᲐᲕᲐ

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲚᲘ ᲜᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲒᲣᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ „ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲐᲕᲨᲘ“ ᲓᲐ „ᲒᲐᲚᲚᲘᲑᲐᲜᲨᲘ“

ნიკოლოზ გულაბერიძის თხზულებებში („საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კერძოთა საუფლოთა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“, „ეალობანი სუეტსა ცხოველისანი“) წმინდა ნინოს სახე წარმოჩენილია, როგორც ღვთისმეტყველის მონაცემისა საქართველოში, აგრეთვე, იგი არის დედოფალი, დედა, ტანჯული, მკურნალი, სანატრელი, წმიდა. კორნელი კეკელიძემ განსაზღვრა ნიკოლოზ გულაბერიძის თხზულების მიზანი: „ნიკოლოზის მიზანი ყოფილა აღეწერა ამ თხზულებაში ის სასწაულები, რომელნიც სვეტიცხოველს მიერ სრულდებოდა ქართველების მოქცევისას და შემდეგშიც. ეფანიდან სვეტიცხოველის ამბავს ცენტრალური ადგილი უკავია ნინოს ცხოვრებაში, თანმიმდევრულად ცხადია, ავტორი ვერ ასცდებოდა ვერც ნინოს ცხოვრების აღწერას, მაგრამ მას განუზრახავს გადმოცემა ნინოს მოღვაწეობისა საქართველოში“ (2,318-319). ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა ნიკოლოზ გულაბერიძის სამიებელ პრობლემაზე, თუ რატომ მოაღლინა ღმერთმა საქართველოში ქალი განმანათლებლად“. კათალიკოსი ნიკოლოზი წერს: „ჩვეულებრივ ესე სამიებელ არს, თუ რაჲსათჳს უკუე დედაკაცი ესრეთ და წარმოაღლინა ღმერთმან ჩუენდა მოძღვრად, რომელი ესე გონიერად ისმინეთ, უკეთუ ღმერთმან ინებოს გულისკმისყოფად ჩუენდა, უგუნურთა განმაბრძნობელმან, რამეთუ თქუმულ არს ესე. ვითარცა უწყით ჭეშმარიტი და უცილობელი ვითარებრ ენებისა ღუთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესსა და აღდგომისა და ზეცად ამაღლებისა მისისა ბრძანებითა უფლისათა კიდეთა ქუეყანისათა წარიელინეს მოციქულნი ესრეთ რეულად და ულეად ნათლისად ითოეულისა ადგილსა ვითარსა სული მისცემდა“ (6,71). ნიკოლოზ გულაბერიძის განმარტებაში ორი მიმართულება იკვეთება:

1. მწერალს ჭეშმარიტად და უცილობლად მიაჩნია მაცხოვრის ამაღლების შემდეგ მოწაფეთა წარგზავნა ყველა კეთილში ქრისტიანობის საქადაგებლად. მათთან ერთად ქადაგების სურვილი გამოთქვა ყოველადწმინდა ღვთისმშობელმა: „მას ჟამსა უკუე ყოველად სანატრელი იგი და უფროჲსად კურთხეული დედაჲ ღმერთისაჲ სურეიელ იყო და მეცადინეობდა წარსლვად ქადაგებად ძისა მისისა ღმერთებისა და გულისთქუმით წადიერ იყო აღმოსავალთ კერძოთა მათ წარმოსლვად შესაბამისობისათჳს სახელისა მისისა, ვითარცა იწოდების აღმოსავალ მზისა სიმართლისა“ (6,71-72). მაგრამ გასამგზავრებლად გამზადებული ყოველადწმინდა ღვთისმშობელი „ძემან და ღმერთმან მისმან დააყენა ამის საწადელისაგან მას ჟამსა შინა“ (6,72). როდესაც საქართველოს მოქცევის საბოლოო ჟამი მოახლოდა, „ხოლო ვინაჲთგან იგი დედაკაცი ყოველად სანატრელი და კურთხეული, უბესოჲანი იგი დედათა და სძეთა და ზეკისა ძალთაცა, ამისთჳსცა უკუე უფუანაჰსენელთა ჟამთა რაჟამს ღმერთმან ინება წყალობა და ცხორება ნათესავისა ჩუენისა, დედაკაციდე წარმოვალინა, ვითარ უკჳნებ მე, გამოითხოეთა და ხუაითშითა დედისა ღმერთისათა ძისა თჳსისა თანა, ვინაჲთგან ნაწილიცა იგი დედისა ღმერთისა“ (6,72). სწორედ ეს ერთი გარემოება, ყოველადწმინდა ღვთისმშობლის წილ-

ხელოვნილია საქართველოსი, იგი „ჭეშმარიტი და უეჭველი მიზეზი" ქალან წარმოშობისა საქართველოს განმანათლებლად.

2. მეორე ჭეშმარიტ მიზეზად („ხოლო მეორე და უჭეშმარიტესია ესე არს") იგი ახასიათებს ქართველთა თვისებებს: „ესრეთოგან ყოველთა ნათესავთა უმეტესვარესნი და ულაღვარესნი იყუნეს ესე ნათესავნი, ამისთჳსცა დედაკაცი წარმოაჳლინა, რათა უმეტეს ხანიერ იქმნეს ძალი ღუაიებისა მისისა და არა ესი ესა ,ადამიერ იქმნეს ამოსა მიზეზველობისათჳს ცოდვისა მეტეველებად. ვითარცედ სიმეტნეთან და ხიბრძნით ფილოსოფოსობათან, გინა ესა რიტორობათან მის ენისმე მამაკაცისათან დააცხრო ბორიტ-ბორკნეულებაი მათ, ამისთჳსცა უკუე ლმობიერთა ზით და ნარნარად მდინარითა წყლისა ნეტარითა დაშრიტა სიმძაფრე საკბილისა მკურნალთან მან ქალიანთან ენიანოდ ენიანოდ ენიანოდ, რათა ხიტყუაი იგი უფლისა მოციქულისა მიმართ თქუმული აქუა ჭეშმარიტებიდეს, ვითარცედ „ძალი ჩემი ულაღვრებასა შინა სრულ იქმნებისო" და ესე უკუე ამით უჭეშმარიტეს არს, ვითარცა მეუნიერ ყარ, რომელ ძალსა ღმრთეებისა მისისა ულაღვრთა ზედა საკნიერ-სდოდა მარდის" (6,72). იოანე ჯაფარიშვილი შენიშნავს, რომ ნიკოლოზ გულაბერიძეს „ამრიგ კი არ ებადება იმის შესახებ, რომ უველაზეს ხალხის მოსაქცევად ხეორად ძლიერი პირიანების გაგზავნა იყო მოსალოდნელიკ და სრულიად ბუნებრივიკ" (13,405). ნიკოლოზ გულაბერიძის შეხედულებით, იესო ქრისტემ, მაცხოვარმა „ესწავლელნი მეთევზენი და მდაბიურნი (ე. ი. მოციქულნი) გამოირჩინნა" და მათ დაკისრა თავისი მოძღვრების ქადაგება, გავრცელება. მათი მეშვეობით „მსგავსად ელვისა ცეცხლშეშფოთებითა ეხართა ეს რიდა პირებსა ბრძენთა და ფილოსოფოსთასა და შუაელელ ეკლესიებიდის გულებსა რიტორთასა, რომელთა არა ვიდრემე სხვა ბარკალთა მამაკაცთასა ხოთნი იმენს ღმერთი ხანიერი, არამედ მოშიშთა სახელისა ძისისათა, ვითარცა იტყუს: „მსეხენდეთ გარნა შეშიდსა და მდაბალსა" (6,72)

როგორც იოანე ჯაფარიშვილი აღნიშნავს, ნიკოლოზ გულაბერიძეს მიზნად დაუსახავს საქართველოში ქალის მიერ ქრისტიანობის გავრცელება-ქადაგების საფუძვლიანი ახსნა, ამ მოვლენის ფილოსოფიურ-ისტორიული შეფასება: „წმინდა ნინოს მოღვაწეობის ღირებულების კერძო საკითხი სახოგადოთვალსაზრისით აქვს გაშუქებული და ამის გამო მას ეცადება კიდევ ერთი ახალი, „სხვაცა ხანებელი ღირსებისათჳს დედათა სიტყვისა" (6,72), ანუ თანამედროვე ტერმინებით რომ გამოეთქვა მისი აზრი, ქალთა უფლება-ღირსების შესახებ" (12,406) მართალია, ავტორმა ქალია ფიზიკური „უძლური ბუნებაა" შესანიშნავად იცის, მაგრამ ყურადღებას აქცევს ერთ გარემოებას: „რამეთუ განმაცხოველებელსა მის აღდგომასა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა დედანიკ ღირს იქმნეს ზეშთა ნეტარებისა დიდსა მტივსა ხარებისასა" (6,72). ეს დიდი პატივი ხარებისა წმიდა მახარებლებს აღწერილი აქვთ, კერძოდ, ისინი მოგვითხრობენ, რომ მაცხოვრის აღდგომა პირველად დედაკაცს ეუწყა, რასაც, შესაძლოა, ღრმა ბიბლიური სიმბოლოებითი ხაფუძველები ჰქონდეს: ევას, პირველქმნილი ქალის, მიერ ჩადენილი პირველცოდვა წარმოიცა, განწმინდა ყოველადწმიდა ღვთისმშობლმა მაცხოვრის შობით, ახლა პირველქმნილი ქალის მიერ ჩადენილი პირველცოდვის განსაწმენდად პირველად ქალებმა იხილეს მაცხოვრის აღდგომა და ახარეს მოწაფეებს. ეს იმას მიუთითებს, რომ ევას ცთომას ყოველადწმიდა ღვთისმშობლის უბინაესი სიწმინდე, ავრეთვე, მაცხოვრის აღდგომის მოწმე ქალების გამორჩეულობა უპირისპირდება

რ. ხირსაძემ „დედათა პატივის" სიმბოლიკა თვით სუტიცხოველს დაუკავშირა, რისთვისაც მოიხმო ის სალვთისმშობლო სახელები, რომლებიც წმ

ბერია კრიტელმა განმარტა თავის საკითხვაში „შობისათჳს ღმრთისმშობლისა ანუ ღმრთისა", „ტაძარ წმიდა" და „ხიონ" – ამ ხიმნოლოგიით ხვეტიცხოველს შეეძლო ღვთისმშობლის განსახოვნება (7,134).

კ. კეკელიძემ გამოთქვა მეტად საინტერესო მოსაზრება იმის შესახებ, რომ „დედათა პატივის" საკითხი, შესაძლოა, თამარის მეფობას უკავშირდებოდეს (2,318-319; 4). ეს თვალსაზრისი განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან კათალიკოს ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებები თამარის მეფობის დროს დაიწერა, ამიტომ მისი მიზანდასახულობა შეიძლება ალეგორიული იყოს და თამარის მეფობის ამოლოგიას წარმოადგენდეს. შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ გულაბერისძემ გამოთქვა ერთგულ-სარწმუნოებრივი იდეალები, რომლებიც საქართველოს XII საუკუნის პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება.

კათალიკოს ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავსა" და „ვალობაში" წმინდა ნინო ღვთისმშობლის მონაცვლედაა წარმოდგენილი, ამასთან, იგი ფრიდება მეკობეტე მოკიქულად: „ამიერითგან უკუე საჭირო არს ჩუენდა მოსენებად ათორმეტთა თანა მის მეათცამეტისა ჭეშმარიტისა მოკიქულისა დედა მის ჩუენ ქართველთაჲსა ნინოჲსა. რაჲთა მკირედ რაჲმე შემოკლებულად და სულ მკირედ ზოგადრე წარმოუჩინოთ, თუ ვითარ მიზეზ იქმნა ქართლებრივთა ამათ აღმოსავლეთისა ეკლესიათა სიმტკიცე და საცნაურ მყოფელ ნეტარებითი მიქსნებელი ოვი დედაკაცი და სულთა ჩუენთა გამოჴსნელი საბოელის მონებისა და ტყეობისაგან" (6,71). წმინდა ნინოს ამგვარად წარმოსახვა მიუთითებს ქართველთა განმანათლებლისა და ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების ინიციატორის გამორჩეულობას, ღვთისმოშიშობას, ღვთის მოწოდებით ღვთისმშობლის მონაცვლად ქართლს მოელინებას და ქართველი ერის სულიერ წინამძღოლობას. კაბადოკიელმა წმინდა ქალმა ქართველი ერი კვლავ ამბარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, რის გამოც იგი ერთგულ წმინდანად იქცა.

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავში" წმინდა ნინოს ბავშვობის, ცხოვრების, საქართველოში მოსვლის ამბები გამოტოვებულია, ხაფიქრებელია ამიტომ, რომ მიზანდასახულობა იყო უშუალოდ სვეტი ცხოველის, ეკლესიის დასრულებისა და მთავარი (კათოლიკე) ეკლესიის ამბების თხრობა. მწერალს აინტერესებს იმის გადმოცემა, როგორ მოაქცია ქართლი წმინდა ნინომ და როგორ გამოცხადდა ქრისტიანული რელიგია სახელმწიფოებრივ რელიგიად, რისთვისაც მას ხვირდება ჯერ წმინდა ნინოს ქართლს, კერძოდ, მცხეთაში დამკვიდრების ამბების ასახვა, შემდეგ კი – მეფე-დედოფლის – წმინდა ნანას და წმინდა მირიანის მოქცევის შესახებ საუბარი.

ჰაგიოგრაფიის გმირის ასახვის პრინციპები ითვალისწინებს მისი მოღვაწეობის წინასწარგანზრახულობის, ბავშვობისა და გამორჩეული გარეგნის, ქრისტეს სულზე შედგომისა და მახთეის თაყვანცემის შესახებ თხრობას, მაგრამ ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი" არაა ჩვეულებრივი ჰაგიოგრაფიული თხზულება, იგი ითავსებს თეოლოგიურ-ფილოსოფიურ მიძღვნებათა გადმოცემასა და საღვთისმეტყველო პრობლემების სიღრმისეულ ანალიზს, საისტორიო ფაქტის თხზულების ელემენტებს, ჰომილეტიკისა და ჰიმნოგრაფიისთვის დამახასიათებელ რიტორიკულ სტილს, რის გამოც იგი პოლიფონიურად თხზულებადაა აღიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში. მწერლის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, თხზულებაში წარმოსახული წმინდა ნინოს სახე მატენადარეულ-ჭელიშურ ხელნაწერებში შემონახულ „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ჰაგიოგრაფიული გმირისაგან წარმოსახვითი ხერხების გამოყენების თვალსაზრისით განსხვავებულია, თუმცა ბევრია მათ შორის თანხვედრა ეპიზოდე-

ბისა და თვით წმინდა ნინოს სახისმეტყველებით წარმოსახვისას; რომელშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შედარება ბიბლიურ პერსონალიებთან და სალეთისმეტყველო-სახისმეტყველებითი საშუალებებით წარმოჩენა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს წმინდა ნინოს მოხსენიება დედოფლად, დედად, ტყვედ, უცხოდ, მკურნალად.

საშუალნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, რ. ხირაძის შრომებში შენიშნული და აღნიშნულია, რომ წმინდა ნინოს სახეში ორი ანტინომიური ნიშან-თვისებაა შერწყმული, ესაა „დედოფალი" და „ტყვე". რომელთაგან წმინდა ნინოს დედოფლობა, ყოველადწმინდა ღვთისმშობლის დედოფლობასთან ერთად, ქართული წარმართული პანთეონის ქალღვთაებათა არქეტიპულ სახეებთან არის დაკავშირებული, მაგ., დალი, მეგრული „ტყაში მაგა", რომელიც თავის მხრივ დალის სახესხვაობაა, პირიმზე და სხვანი, რომელთა ცალკეული თვისებები ჩანს წმინდა ნინოს სახეში და რომლის სახის მიღმა უნდა ეგულებოდეთ ზოგადქართული ღვთაება, ანდა წარმართული პანთეონის ქართლში გაერცელებული მისი სახე, რომელიც ყველაზე მთავარი კულტი იქნებოდა. მისი დასაკრალიზება ხდება წმიდა ნინოს მიერ (8,103).

წმინდა ნინოს დედოფლობა უშუალოდ უკავშირდება ყოველადწმინდა ღვთისმშობლის დედოფლობას, რაც არაერთგზისაა აღნიშნული ალეთისმშობლო საკითხავებსა და საგალობლებში, რომლის საფუძველია ფსალმუნთა წიგნის წინასწარმეტყველება: „დადგეს დედოფალი მარჯვენით შენსა სამოსლითა ოქროქსოვილთა შემკულ და შემოსილ" (ფს. 44,10). წმინდა იოანე დამასკელი ალეთისმშობლო სახელთაგან უპირველესად დედოფალს განმარტავს საკითხავში „შობისათჳს ღმრთისმშობლისა": „ვისა არიდენ, დედოფალო, რომელმან დედად ყოველთა უფლისა წოდებითა დედოფლობაჲ დაიმკჳდრე, რომლისათჳს უკუეთე ეინმე თქუას მონა შენდა ყოფაჲ ყოველისა დამაბეჭდელისაჲ. არა განჳარდეს ოვი წესიერებისაგან მეტყველებისა" (12,108) ღვთისმშობლის დედოფლად მოხსენიება მის გენეალოგიურ შტოსთანაც უნდა იყოს დაკავშირებული, ოვი დავითის ძისაგან აღმოცენებულად მიიჩნევა. წმიდა იოანე დამასკელი წერს: „9. ესენი შეუნიერო და ტკბილო' 9. შრომანი შორის ეკალთა აღმოცენებულნი აზნაურისა და სამეუფოჲსა მისგან ძირისა დავითისა" (12,119). წმინდა ანდრია კრიტელი ამბობს: „ვისა არიდენ, კეთილო ამრონისო, ძირო იესესო, მორჩილ დავითისო, შესამოსელო სამეუფოო" (12,146).

ყოველივე ეს იმას მოასწავებს, რომ წმინდა ნინო, საქართველოში ღვთისაგან ღვთისმშობლის მონაცვლედ წარმოგზავნილი, აგრეთვე, დედოფალია. სულიერი დედოფალია ახლად მოქცეული საქართველოსი საქართველოს სულიერი დედოფლობის პატივი წმინდა ნინოს ხვდა წილად საქართველოს სულიერი ცხოვრების მოწესრიგებისათვის. აგრეთვე, ოვი არის დედა ყოველთა ქართველთა, რაც სიმბოლურადაა გასაზრებული, ვინაიდან წმინდა ნინო არის ქართველი ერის სულიერად მშობელი. ამ კონტექსტში თითქმის მოულოდნელია წმინდა ნინოს მოხსენიება ტყვედ და უცხოდ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული ეპითეტია, ვინაიდან ტყვე ოვიეე უცხოობაში მყოფია, წარტაცებულია, სხვა ქვეყანაში მყოფია. გარდა იმისა, რომ წმინდა ნინო ქართველთათვის უცხო ქვეყნიდან მოსულია, – ეს არხეინთი არ არის მისი ტყვეობისა და უცხოობის განსასაზღვრად, – მისი უცხოობა ეფერი ღრმა და მისტიკური ფაქტორითაა ახასიათებული. ცნობილი ფაქტია, რომ წმინდანის სათნოებათა წარმოჩენისას ავტორებმა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ სოფლიდან განდგომაზე, უცხოობის სურვილზე, ანუ მშობლიური გარემოდან გარესამყაროში გასვლის სურვილზე ცხადია. ოვი ეეანგელურ

სწავლებას ეფუძნება, რაც შეეფერება წმინდა გრიგოლ ნოსელმა წმინდანის საღმრთო მოქალაქობის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნია.

აქ გასათვალისწინებელია უცხოობის არსებითი მნიშვნელობა, ადამიანის „ყოველისა გონებისათა უცხო-ყოფაჲ" (ფილ. 4,7) განიხილვება მისი მიმართებით ზეციერებელისა და სოფლისადმი. წმინდა ნინო ძრაულმხრივია „უცხო": უპირველეს ყოვლისა, იგი სხვა, უცხო ქვეყანაში მყოფია და უცხოა მანამ, სანამ საქართველოს ქრისტეს სჯულზე არ მოაქცევს; მთავარი კი ისაა, რომ, წმინდა გრიგოლ ნოსელის სწავლებით, იგი უცხო ეწოდა „ეკლესიათა ჩუენთა ხელოვანულისა და წყალობისაგან, რადთა არა ნებისაებრ ეკლესიათაჲსა ყოფილ თანამდებ იქმნეს განსაცდელთა მათ ეკლესიელთა" (5,26); „ეაცმან თავი თუსი ხრულიად ენებათაგან ეკლესიელთა უცხო-ყოს" (5,9), ვინაიდან ადამიანმა ისეთი საქმე და ისე უნდა აკეთოს, რომლის გამო სხვანი აქებდნენ; არა მხოლოდ საკუთარ თავს, სულს, სხვათაც არგოს. ამა სოფლის საკითხი სულის განწმენდილი თვალით მოიხილოს და „უბეშთაეს საქმეთა მისთა იქმნეს და ვითარცა მოციქული იტყუს: ყოველი კეთილი მიხი ხიმურალად და უსდრეკებად შეჰრაცხოს (შდრ.: ფილ. 3,8) და უცხო-ყოს თავი თუსი მისგან, მეს არცა ერთი აქუს ზიარებაჲ ეაკეობრივთა მათ ბოროტთა თანა" (5,17). უცხოება, მისტიკური გაგებით, არის ანგელოზებრივი ბუნების ერთგულება და ხორციელ გულისთქმათაგან, ამათთა ზრუნვათაგან განთავისუფლება. უცხო, უცხოდქმნილი არის „მალალნი რახმე სახედველსა აღსრულნი" (5,19). წმინდა ნინო უცხოა იმიტომაც, რომ იგი, თვისთაგან გამოსული, პირველსახეობილებული, უცხოდქმნილი უნდა წარდგეს უზენაესის წინაშე. უცხო სხვად ყოფნაა, ეს სხვა წმინდა ნინოში ქართლის ხელიერ განმახლებელს მოგვაზრებინებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დედოფალი და ტყვე, დედოფალი და უცხო ანტინომიური ბინარული ოპოზიციაა, რომელიც წმინდა ნინოს, ვითარცა წუთისოფლისაგან უცხოდქმნილის, ხელიერების უკეთ წარმოჩენას ისახავს მიზნად. დედოფალი, ტყვე, უცხო წმინდა ნინოს გამორჩეულობას აღნიშნავს, რაც წინასწარვე მოახსენებს მის იშვით, განსაკუთრებულ ხელიერ მისიას.

იგი მაყლოვანში დამკვიდრებული, რაც, აგრეთვე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ბიბლიურ ქრონოტოპს მიანიშნებს (1,56-70). აღნიშნავთ, რომ მაყლოვანი უდაბნოს ტოლფარდია, ხოლო უდაბნო ის ადგილია, რომელიც სულიერი განდგომილობის გზაზე უნდა გაიაროს წმინდანმა. წმინდა ნინო მაყლოვანში მონაზონური ცხოვრებით ცხოვრობს. მართალია, წმინდა ნინო განმარტოებით ცხოვრობს უდაბნოში, ანუ მაყლოვანში, მისი შინაგანი ასკეზა მხოლოდ თვითშეეკონების, მისივე განდგომილობის საწინდარია, მაგრამ იგი ქართველი ერის სულიერ მკურნალად, ანუ ქრისტეს სჯულზე მოქცევად გვევლინება. აგრეთვე, იგი ხასწაულებრივი მკურნალია, კურნავს მძიმედ დაავადებულებს, რომელთაც ირწმუნეს ქრისტე.

წმინდა ნინო, როგორც მკურნალი, ღირს ხასიათმეტყველებითია დახასიათებული ნაწარმოებში. ნიკოლოზ გელაძერისძე მოგვითხრობს წმინდანის მძიმე განცდების შესახებ ქართველი ერის „ეშმაკთაგან წარტყვენილობისა" გამო, „ერსა მას დაბნელებულსა ქართლისასა" (6,79) ღმერთად მიაჩნდა ორი ქანდაკება - ოქროს ჯაჭვმოსილი სპილენძის კაცი, ძვირფასი თვლებით შემკული (ზურმუხტი, ბივრიტი) და სრულიად ოქროსგან გამოჭანდაკებული კაცი - გაც და გაიმ. წმინდა ნინო „ცრემლოიდა" ერის სულიერი სიბნელისა და წარწყმედის გამო და თავის უცხოებას იგლოვდა. იგი შეძრწუნებული ადეკ-

ნებდა თეალყურს ხალილენძისაგან ჩამოსხმული ოქროში ჩასმული კერპების წინაშე ხელიერებადაკარგული ერის თაყვანისცემას. „არმაზობის" დღესასწაულზე კერპებისადმი თაყვანისმცემელი ხალხის ხილვით შეძრწუნებულმა წმინდა ნინომ უფლის მარჯვენა ალაფლა ლოცვა და შეახსოვა მათი მსხვრევა და ქართველი ერის გამოტაცება „ხელთაგან განმრყენელთასა" (6,72). ლოცვას დიდი ძალა აქვს, როდესაც ის ჭეშმარიტი რწმენით, წმინდა გულით, ღვთის სასოებითა და სიყვარულით წარმოთქმება. წმინდა ნინოს ლოცვამ დასაბამი დაუდო ქართველთა განწმენდას. არმაზის მსხვრევის, არმაზული ეპოქის დასრულების წინ წმინდა ნინოს მიერ წარმოთქმული ლოცვა ლიბანისგან ჩამოსხმული კერპების თაყვანისცემის გამო ებრაელთათვის ცოდვათა მისატევებლად მოსე წინასწარმეტყველის ლოცვას შეიძლება შევადარო (გამოსლ. 15,1-19).

ნიკოლოზ გულაბერიძის მიერ აღწერილი და გადმოცემული ეპიზოდი ქართველთა ურწმუნოებისა, კერპთაყვანისმცემლობისა დასტურია იმისა, რომ საქართველო, კერძოდ მცხეთა, დაცემულია და „ბნელსა შინა მყოფი". წმინდა ნინოს ლოცვა კერპთა მსხვრევის წინ წინასწარვე მოასწავებს ქართველი ერის მომავალ სულიერ ფერისცვალებას. წმინდა ნინო წარმართულ კერპებს დაუპირისპირდა არა ძალით, ეს მას არც შეეძლო, არამედ მხურვალე ლოცვით, რომლის შედეგიცაა არმაზისა და ბალენის კერპთა მსხვრევა, დასაწყისი ქართლში ჭეშმარიტი ხარწმუნოების დამკვიდრებისა. ლოცვა რწმენის გამოხატულებაა (9,201-206), ამიტომ წმინდა ნინოს ლოცვას სულიერი კურნების ძალა აქვს. აღვნიშნავთ, რომ წმინდა ნინოს ლოცვა შესმენილ იქნა: „ისმნა უფალმან ვედრებისა ჩემისაჲ. უფალმან ლოცვაჲ ჩემი შეიწყნარა" (ფს. 6,9). მან ვაზის ჯვარი („ჯუარი ნასხლეტისა") შეიმზადა და შეუდგა საუფლო კვართის ადგილის ძიებას, ვინაიდან იერუსალიმიდანვე იცოდა, რომ იგი მცხეთას ისახებოდა.

ნიკოლოზ გულაბერიძე საღმრთო განგებულებით საქართველოს გამორჩეულ ქვეყნად მიიჩნევს და ხაზეპირის უწოდებს: „რამეთუ წინაჲსწარვე განეგო სახიერსა მას ამის საჴეუფოსა ერად საზეპეროდ შემზადებაჲ და ჟინაჲთგან ნაწილიცა იყო ყოველად წმიდისა ღმრთისმშობლისა, ამისთჳს უფროჲსი ღირს იქმნა", რაც ფსალმუნური სიტყვებითაა მოტივირებული. „ამს საშინელსა მადლსა ესე კვარი, ამისთჳსცა უკუე წინაჲსწარვე წარმოაჩენდა მადლი ღმრთეებისა მიხისა, რაჲთა პირველადვე დაიწინდოს კუარითითა მით და მადლითა ღმრთეებისა მისისათა" (6,77). მაყვლოვანში ყოფნისას წმინდა ნინოს საღმრთო ჩვენებით მიეჩვენა კვარითის ადგილი, მაგრამ იმ ადგილზე ტაძრის აღმართვამდე საჭირო იყო ნინა დედოფლისა და მირიან მეფის მოქცევა ქრისტეს სჯულზე.

ნინა დედოფლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს წმინდა ნინოს ლოცვის დრო და ადგილი, ე. ი. დედოფლის გაქრისტიანების ქრონოტოპს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. სენის მძვინვარებისაგან იძულებულმა დედოფალმა თავისთან ახმობინა კაბადოკიელი უცხო ტყვე ქალი, რომელიც „მაყვალთა მათ შინა იღოცვდა ღამსა შეეტესსა". „ვითარცა ჲუწყეს ბრძანება დედოფლისა" (6,79); წმინდა ნინოს სიტყვისამებრ, დედოფალი მაყვლოვანში მოიგვარეს, რასაც, აგრეთვე, სიმბოლური დატვირთვა აქვს ქვეყნის დედოფალი მაყვლოვანში უნდა განიკურნოს წმინდა ნინოს ლოცვა, ყოველადწმინდა ღვთისმშობლის შეხებით და უფლის ნებით. მაყვლოვანი ღვთისმშობლის ქრონოტოპული გაბრწყინების საფეხელს იძლევა. ქვეყნის დედოფალი, ანუ სტატუსით დედოფალი, ხელიერი დედოფლის, ანუ ყოველ

წმინდა ღვთისმშობლის საფარველს ქვეშ უნდა მოექცეს აგრეთვე ხელოვნური. ფერადოვანი, წმინდა ნინოს მეშვეობით.

ნიკოლოზ გულაბერიძე კომპოზიციურად რთულ ნაწარმოებში საგანგებოდ ჩერდება მირიან მეფის მოქცევის დეტალებზე. ვინაიდან ესაა ერის მოქცევის უმნიშვნელოვანესი საფეხური ავტორი მიაყენებს წმინდა ნინოს „ცხოვრებათა" ძველ ვერსიებს და გვიამბობს თხოთის მთაზე ნადირობისას შუის დანელების, საშყაროს დანელების ამბავს, რომელშიც ცენტრალური ადგილი მირიან მეფეს უჭირავს. აქაც ქრონოტოპის სიმბოლურობა იკრობს ყურადღებას. მირიან მეფე თხემის ოდნავ სამხრეთით იმყოფებოდა, რიდესაც ირგვლივ სამინდელა. ეკანგელური და საღვთისმეტყველო ლიტერატურის სწავლებით, სამხრეთი შუის ადგილია, ის ადგილია, საითკენაც მიისწრაფის სინათლე. ეს, წამოსული აღმოსავლეთიდან ამასთან, მირიანი იმყოფება მთაზე; მთა კი ის ადგილია, სადაც ღვთიგამოცხადებული სასწაულები ხდება ყველაზე, მთაზე, სინას მთაზე მიიღო მოსე წინასწარმეტყველმა ღმერთისაგან ათი მცნება; მთაზე, თაბორის მთაზე იცვალა ფერი ქრისტემ. ძე ღვთისამ თავისი სამი მოწაფის წინაშე და ეჩვენა მათ ღვთაებრივი სახით ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მთა საკრალური ადგილია, სადაც მისტიკური ხილვით ღმერთთან მიახლება და წვდომა შეიძლება. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, განსაკუთრებით ფსალმუნში, დასმული კითხვა, ვინ შეიძლება აკიდეს მთაზე: „უფალო, ვინ დაეშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკვიდროს მთასა წმიდასა შენსა" (ფს. 14,1); „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა" (ფს. 23,3), რომელთა პასუხებში იკვეთება ადამიანის სრულყოფილების, ზნეობრივი სისრულის აუცილებლობა: „უბრალოჰ კელითა და წმიდაჰ გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თჳსი და არცა ეფიცა ბაყეითი მოუფასსა თჳსსა. ამან მიიღოს კურთხეჳაჰ უფლისაგან და წყალობაჰ ღმერთისაგან მაცხოვრისა მისისა" (ფს. 23,4-5). ფსალმუნთა განმარტებლები (ბასილი დიდი, კირილე ალექსანდრიელი) აღნიშნავენ, რომ წმინდა მთა ზეციური ქალაქია, ზეციური იერუსალიმია; სულიერი ამაღლება, ზნეობრივი სრულყოფა ადამიანისა მთას ასვლით გვირგვინდება, რაც მისი განდრეთობის საწინდარია.

მირიან მეფის თხოთის მთაზე, resp. მის სამხრეთ კალთაზე, ყოფნა ეროვნულ მოასწავებს მის ფერისცვალებას. მირიანის აღიარება და თხოვნა წმინდა ნინოს ნაქადაგები ღმერთის წინაშე ნათელს გამოეცხადებინებს მას და ქრისტეს გზაზე დააყენებს. მეფის ფერისცვალება, მისი მოქცევა ხდება მეშვიდე დამს, ხოლო შვიდი ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში სრულყოფილების სიმბოლოა, რაც იმას ნიშნავს, რომ მირიანის გაქრისტიანებით საფუძველი შეადგინა ქართველი ერის სულიერი სრულყოფისათვის (II,222-223).

ამიერიდან წმინდა ნინო და მირიან მეფე ერთად მოქმედებენ, ერთად ამბენენ უფლის კვართის ადგილზე ტაძარს. ეს ტაძარი სიონია, ე. ი. ღვთისმშობლის სამკვიდროა, და თორმეტი მოციქულის სახელობისაა. წმინდა ნინოს „ცხოვრების" შატბერდული რედაქცია არ ასახელებს შვიდ სვეტს, მხოლოდ ერთია ნახსენები და სწორედ იგია ცხოველი სვეტი, ლიბანის ნაფოს ხისგან დამზადებული (იგივე კვიპაროსი). ლეონტი მროველი კი შვიდ სვეტს ასახელებს. ამ ტრადიციას აგრძელებს ნიკოლოზ გულაბერიძეც. ეროვნულ საყურადღებოა მეშვიდე სვეტის აღმართვის სასწაულებრივი ისტორია, რაშიც უდიდესი მნიშვნელობა ეკისრება წმინდა ნინოს ლოცვას. ვინაიდან ადამიანის ხელმა ვერ შეძლო სვეტი ცხოველის აღმართვა. ეს ის მთავა-

რი სვეტია, რომელიც ღვთის ნებით აღიმართა უფლის კვართის ადგილზე სადაც იდგა ცხოველი ხე - ნაძვი ლიბანისა. სწორედ იგია მცველი ქართველთა და სრულიად საქართველოისა. მას სასწაულებრივი ძალა მიენიჭა. მირიან მეფემ წმინდა ნინოსთან ერთად განიზრახა სვეტი ცხოველისათვის „კარე საბერძნეთის" შექმნა, საბერძნეთიდან სახელოვანი ხუროთა მოწვევა. ამიერიდან მირიან მეფე წმინდა ნინოს მოციქულის შესაფერ პატივს მიაგებს. თვით წმინდა ნინო მუდმივად ზრუნავს ქრისტიანობის განსამტკიცებლად. იგი მრავალ სასწაულს სჩადის, რითაც ქართველი ერის ჭეშმარიტ სულიერ მკურნალად გვევლინება. წმინდა ნინო სულიერად მფარველია. მან მთელი მაცხოვრება სამოთხედ გადააქცია, აქვე აიგო სვეტი ცხოველის ტაძარი. სვეტი ცხოველისთვის „კარე საბერძნეთის" მშენებლობისას წმინდა ნინო კვლავ მადლობს და კვლავ ლოცულობს. ამგვარად სამადლობელ ლოცვას აღავლენს.

წმინდა ნინო ლოცულობდა ქართველი ერის სულიერი ხსნისათვის, მოყვასის შეწევნისათვის, კერპთა დასამსხვრევად, სვეტი ცხოველის — მაღალი სვეტის აღმართვად, ეკლესიის აშენებად უფლის კვართის ადგილზე, რაც შესმენილ იქნა.

წმინდა ნინო ზედმიწევნით მისდევს ფსალმუნურ სწავლებათა აღსრულებას, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედო ცხრა ნეტარების დებულებებს. ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავის" მიხედვით, წმინდა ნინო სულით გლახაკია, მშვიდია, რის გამოც იგი ცათა სასუფეველს იმკვიდრებს; გულით მგლოვიარეა და მტირალი ქართველი ერის სულიერების ხსნისათვის ზრუნავს; სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალი და მშვიდობისმყოფელია, რომელსაც განამტკიცებს ღვთის რწმენა, სასოება და სიყვარული. წმინდა ნინო მოწყალე ბუნებით გამორჩეული და გულით წმინდაა, რის შედეგიცაა მისი ღმრთისმხილველობა.

წმინდა ნინოს ქმედება მთლიანად ქრისტიანულ სათნოებებს ემყარება: სიყვარულს, სულგრძელობას, სიტკბოებას, სახიერებას, მყუდროებას, მორჩილებას, სიმდაბლეს, მოწყალებას, უმანკოებას, სიმშვიდეს, შიშსა, რწმენას, სასოებას. იგი ცდილობს ცოდვილთა მოქცევას, უმეცართა სწავლებას, მწუხარეთა ნუგეშისცემას, შემცოდეთა (თანანადებთა) მიტევებას, მოყვასთა საცხოვნებლად ღმერთის წინაშე ვედრებას.

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავში" წმინდა ნინოსთან ერთად მირიან მეფისა და ნანა დედოფლის სახე-სახეები იქცევენ ყურადღებას, რომელთა წარმოჩენა ცალკე კვლევის საგანია.

საჭიროდ მივიჩნევთ საგალობლებზე საუბარს, ვინაიდან „საკითხავი" და „გალობანი" ერთი ავტორის შექმნილია და ერთი მიზანდასახულობა აქვთ.

წმინდა ნინოს სახე ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობლებში ხატოვანმეტყველი კონტექსტებითა და სახისმეტყველებითაა წარმოსახული. უნდა აღინიშნოს, რომ საგალობელი წმინდანის ცხოვრებას არ გადმოგვცემს, იგი წმინდანის ქებაა, შესხმაა, რომელშიც წმინდანის ძირითადი თვისებები აისახება, წმინდანის სათნოებები წარმოჩნდება, წმინდანის ღვაწლის შესახებ გადმოიცემა, წმინდანის ღვაწლი კი მისი განღმრთობით სრულდება. წმინდანი ხშირად შედარებულია ბიბლიურ პერსონალიებთან, რომლებიც მუდმივ ზნეობრივ მაგალითად, ზნეობრივ გზამკვლევად გვევლინებიან საზოგადოდ კაცობრიობის ისტორიაში.

ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობლებში წმინდა ნინოს წინასახეებად მიჩნეულნი არიან ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ძველი დიდი მოსე, წმინდა ანდრია პირველწოდებული. მოსე წინასწარმეტყველთან წმინდა ნინოს შედარება იმის ნიშანია, რომ იგი ქართველთა სულიერი წინამძღოლია, რომელმაც

ერი ყველაზე ამბარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, რის გამოც იგი ერთგულ წმინდად იქცა. ამიტომ იგი არის „დედაჲ ქართველთა თემისაჲ, არშაზის ჭვის დამტეხელი", „სანატრელი დედა", „ქართლის მაცხოვარი", „მოციქულნი სიყდელი და დედათა დიდება", „რომელმან მეხდატეხილ ყოველ ბოროტნი და ბაგინნი და წარარღენენ ყოველნი საკერებელნი მათნი და გამოუბრწყინე ჩუენ ნათელი ღმრთაებისა ბნელისა უმეცრებასა მსხდომარეჲ" (10,287). წმინდა ნინო ის სანატრელი დედა, „რომელსა ქრისტემან ღმრთამან მიანიჭა მოციქულებაჲ და ღირს იქმნა უხილავისა სულისა ამაღლებასა საკურველსა და კეთილად მთამბილებასა" (10,288). საგალობლის ეს სიტყვები, ცხადია, ჰაგიოგრაფიულ მონათხრობს ემყარება.

ნიკოლოზ გულაბერისძე საგალობლებში წმინდა ნინოს წმინდა ანდრია მოციქულთან ერთად მოიხსენიებს და ორივეს ერთად მოიაზრებს, ვითარცა ქართველთა განმანათლებლებს: „ვითარცა ორთა ქადაგთა სახეთა მდინარისაჲ დიდმან ანდრეა და ღირსმან ნინო წარღენეს ყოველი სიბნელეჲ კერპთა ქართველთა თემისა. ეგრე სახედ ესე ორნი მდინარენი წარარღენიან ყოველსა სიბნელესა და კეთილსა ნაყოფსა რწყვენ დაუცხრომლად" (10,283). ეს კი იმას ადასტურებს, რომ ნიკოლოზ გულაბერისძე ქართველთა განმანათლებლებზე — წმინდა ანდრია მოციქულსა და წმინდა ნინოზე ყურადღების გამახვილებით ერთგვაროვნად აღნიშნავს ქართველი ერის რჩეულობის რამდენიმე ნიშანს: 1. საქართველოს ხედა პატივი მის მთაკარ ტაძარში სვეტის ადგილას უფლის კვართის დაკანონებისა; 2 საქართველოს ეკლესია სამოციქულოა, აქ იქადაგა წმინდა ანდრია მოციქულმა; 3. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და, აქედან გამომდინარე, მას სულიერ შეკავშირად ჰყავდა ქალი, წმინდა ნინო. ღვთაებრივ ნათლის სვეტის ჩამოშვებით გამოჩნდა უფლის კვართის დაფენის ადგილი, რომელიც წმინდა ნინოს მოსვლამდე უჩინარი, უცნობი იყო, შემდეგ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ იქმნა მიკვლეული უფლის მინიშნებით წმინდა და საკრალური ადგილი უფლის კვართისა ღვთის სახლის ასაგებად.

უფლის კვართის საქართველოში, მცხეთაში დაფენამ მცხეთა მეორე იერუსალიმად, „ახალ იერუსალიმად", ზეციურ, სულიერ ქალაქად გარდასახა (3,361-363). უფლის კვართის საქართველოში ჩამოტანამდე, წმინდა ანდრია პარეულწოდებულისა და შემდეგ წმინდა ნინოს მოსვლამდე, ქართველი ერი „ბნელსა შინა ჯდა", საქართველო იმყოფებოდა ბარბაროსთა და წარმართთა ხელში, რის გამოც ნიკოლოზ გულაბერისძემ „ვალობანში" მცხეთას „ოდესმე მგლოვარე ქალაქი" უწოდა საგალობელთა მიხედვით. საქართველოს ცხოვრება ორ ისტორიულ დროშია გამოყენილი: ქრისტიანობამდე და ქრისტიანობის შემდეგ. ლიტურგიკულ ღვთისმსახურებაში მცხეთის „ოდესმე მგლოვარობაზე" ყურადღების გამახვილება იმის ნიშანია, რომ საღვთო გზაზე შემდგარ ქვეყანას, მის ხალხს განდგომისა საშუალება ეძლევა. ამიტომ ეწოდა მას „ერი საზეპური".

ნიკოლოზ გულაბერისძის „ბაკურიანსა" და საგალობლებში წამოჭრილია ქართული ერის „საზეპურად" მიჩნევის პრობლემა, რაც შეხამული იდეის უკუშორდება. წმინდა ნინოს სახის წარმოჩენა, ქალის მიერ ქართველთა მოქცევაზე, განმანათლებლობაზე ყურადღების გამახვილება, ქართული ერთგული სულის დამკვიდრება ეროვნული მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი. ღვთისმშობლის წილხვედრილობასა და მის მონაკვეთად წმინდა ნინოს საქართველოში განმანათლებლად წარმოგზავნაზე განსაკუთრებული ყურადღების შეჩერება ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ თამარის მეფობის ასოციაციით იყო განპირობებული, ე. ი. იდეოლოგიური ფუნქციით იყო განსაზღვრული

ლიტერატურა

1. ქ. ბეზარაშვილი, ბ. კული, „მაყვლოვანის" გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში, „ლიტერატურული ძიებანი", XX, თბ., 2000.
2. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
3. კ. კეკელიძე, ქართული კულტის იერუსალიმური წარმოშობისათვის, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.
4. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XII, თბ., 1974.
5. წმინდა გრიგოლ ნოსელის „ქალწულებისათვის", ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ. იხ. მისი საკანდიდატო დისერტაციის დანართი, თბ., 2004.
6. მ. საბინინი. საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882.
7. რ. სირაძე. ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, თბ., 1992.
8. რ. სირაძე. „წმიდა ნინოს ცხოვრება" და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა, თბ., 1997.
9. ნ. სულავა. ლოცვა ავთანდილისა. ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ., 1999.
10. ნ. სულავა. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.
11. ნ. სულავა, განგების რუსთველური კონცეფცია, კრ.: შოთა რუსთველი, I, თბ., 2000.
12. ძველი მეტაფრასული კრებულები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნარგიზა გოგუაძემ, თბ., 1986.
13. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ., VIII, თბ., 1977.

Н. В. СУЛАВА

СПЕЦИФИКА ИНТЕРПРЕТАЦИИ ОБРАЗА СВЯТОЙ НИНО В «ЧТЕНИЯХ» И «ПЕСНОПЕНИЯХ» НИКОЛОЗА ГУЛАБЕРИСДЗЕ

Резюме

В гимнографии и агиографических сочинениях Николоза Гулаберисдзе образ Св. Нино рассматривается исключительно в качестве наместницы удела Пресвятой Богородицы – Грузии. Она именуется «царицей», «матерью», «пленницей» «рабыней» („ტყვე" – [tkve]), «чужой», «иноземкой», «иной» („უცხო" – [ucxo]), «исцелительницей», «долгожданной» („სანატრელი" – [sanatreli]) и «святой», а в агиографических сочинениях – «тринадцатым апостолом».

Обоснование права св. Нино на титул *царица* тесно связано с основанным на пророчестве Ветхого Завета (Псалтирь) и неоднократно упоминаемым в «Чтениях Пресвятой Богородицы» и «Песнопениях» вопросом о царственном происхождении Богоматери. Применительно к

св. Нино, титул *царица* прямо указывает на то, что, будучи по воле Божией наместницей Пресвятой Богородицы в Грузии, она является духовной царицей новообращенного народа. Таким образом, этот сан положен ей свыше для упорядочения духовной жизни страны. Поскольку Св. Нино является духовной матерью всего грузинского народа, то, символически, она – *мать* каждого грузина. Одновременно она – *пленница* и *иная*. Первое указывает на ее пребывание на чужбине, а второе – наводит на размышления о духовном перерождении Картли.

Использование бинарных оппозиций – антиномий *Царица – пленница, Царица* - «чужая», «иная», «иноземка» („ეუცხო" – [исхо]), преследует целью подчеркнуть духовность, избранность св. Нино. Пребывание св. Нино в Маклавани (зарослях ежевичных кустов) указывает на то, что она следует путем Пресвятой Богородицы, а ее деяние непосредственно проистекает из христианских добродетелей.

В гимнографических и агиографических сочинениях Николоза Гулаберидзе особое внимание уделено тому, что определенное Волей Провидения пребывание Хитона Спасителя (Ризы Господней) в земле грузинской сделало Грузию «Новым Иерусалимом», «Градом Небесным», «Градом новым», что является неотъемлемой частью мессианистской идеи. Грузинский народ осмыслен автором как «საზეპური» [sazepiro], т. е. «имеющий участие в Благе Небесном».

Такая интерпретация образа святой Нино и особое внимание автора к факту обращения Грузии в христианство женщиной и формированию грузинского национального духа были продиктованы потребностями эпохи, к которой относятся сочинения Николоза Гулаберидзе. Концентрация внимания на том, что Грузия – это удел Пресвятой Богородицы, а св. Нино была послана для *просвещения* грузинского народа в качестве ее *наместницы*, в творчестве католикоса Грузии второй половины XII века Николоза Гулаберидзе являлось апологией царствования царицы Тамар, т. е. имело строго определенную идеологическую нагрузку.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება.

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა